



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 64

2014 წლის 5 სექტემბერი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახალხო დღესასწაულ „მატილობის“ ორგანიზების მომსახურების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2014 წლის 22 და 29 აგვისტოს ორჯერ იყო გამოცხადებული ტენდერი (SPA140019903 და SPA140020324), სახალხო დღესასწაულის „მატილობა“ – ს ორგანიზების მომსახურების შესყიდვაზე, რომელიც არ შედგა.

იმის გათვალისწინებით, რომ ტენდერის ხელახალი გამოცხადება საჭიროებს სატენდერო პტოცედურების დაცვას, რაც გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული, ხოლო ღონისძიების ჩატარების თარიღი დადგენილია, მუნიციპალიტეტის გამგებელი ითხოვს თანხმობას ზემოაღნიშნული შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, მე – 16 – ე მუხლის მესამე ნაწილის და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10¹ მუხლის მე-3-ე პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახალხო დღესასწაულ „მატილობის“ – ორგანიზების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.